N 3
05/02/2021

3-27-4-202102051711

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში საბჭოს წევრის არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების, საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალის განცხადებების მიღებისა და არჩევნების ვადების განსაზღვრის შესახებ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2020 წლის 25 დეკემბერს (ოქმი N 4) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტში საბჭოს წევრის არჩევნების ჩასატარებლად დამტკიცდეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1. ზვიად მურადაშვილი – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

1.2. ეკატერინე ნავროზაშვილი – ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.3. თინათინ ჩოლოყაშვილი – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), კომისიის მდივანი

2. საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი განცხადებას (დანართი №1) წარმოადგენს ფაკულტეტის კანცელარიაში 2021 წლის 8 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

3. განცხადების წარმოდგენა შესაძლებელია დასკანერებული სახით ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: tamarmokverashvili@tsu.ge.

4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი აირჩევა აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის პროფესორთა კრებაზე ღია კენჭისყრით 22 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით.

5. ბრძანებისჰ უმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურს.

6. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზვიად მურადაშვილს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნანა გაფრინდაშვილი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი